კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სსიპ ზურაბ იარაჯულის სახელობის ქალაქ თბილისის N106 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	მეთერთმეტე
მხატვრული ნაწარმოები(დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	„იქ სადაც კიბორჩხალები მღერიან“. ავტორი: დელია ოუენსი. „განა რამდენი მიწა უნდა ადამიანს?“.ავტორი: ლევ ტოლსტოი.
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა.თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	პირადი ფინანსების მართვა:ბიუჯეტირება,შეგროვება,დაზოგვა,დაბანდება,კერძო საკუთრება,დაზღვევა.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	• დისკუსია,შემთხვევის განხილვა,პრობლემის გადაჭრა,“სინქვეინი“,დაასრულე 4 წინადადება, • „გონებრივი იერიში“-ბარათებით მუშაობა.მეთოდის ამ ვარიანტის დადებითი მხარე არის ის, რომ მონაწილეები იდეების ჩამოყალიბებისას არ ექცევიან სხვათა გავლენის ქვეშ, განხილვისას კი ზოგიერთი მონაწილე აღმოაჩენს, რომ იდეა, რომელიც მათ პირველ ეტაპზე თითქოსდა უსარგებლოდ და აბსურდულად ჩათვალეს, შეიძლება სასარგებლოდ იქნას გამოყენებული. გაცხრილვისა და მსგავსი იდეების დაჯგუფების ტაპზე მონაწილეებს უვითარდებათ ისეთი მაღალი სააზროვნო უნარები, როგორიც არის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება.ვფიქრობ ჩემს მიერ შერჩეული მეთოდები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას, კომპლექსებიდან გათავისუფლებას და თამამად აზრის გამოხატვას. ასევე განუვითარებს მათ გადაწყვეტილების მიღების, თანამშრომლობის, პრობლემის გააზრების, ცოდნის ტრანსფერის უნარს.მოსწავლეს ასწავლის ყველა მხრიდან შეხედოს პრობლემას, ღრმად გაიაზროს ყველა დეტალი, თამამად გამოთქვას თავისი აზრები, ისწავლოს გონივრული და მიზანმიმართული შეფასება,

	გაითვალისწინოს რისკები, შესაძლებლობები და პრობლემის მოგვარების ოპტიმალური გზა მოძებნოს.
აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	**პირველი გაკვეთილი** **აქტივობა 1.** კროსვორდის შევსება,გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა,დისკუსია. (10 წთ) მოსწავლეებმა შეავსეს კროსვორდი და გამოიცნეს გაკვეთილის თემა: პირადი ფინანსების მართვა.მასწავლებელმა გააცნო გაკვეთილის მიზანი:ვისწავლოთ ფინანსები ლიტერატურით;დასვა კითხვები დისკუსიისთვის:რა არის ფინანსური განათლება? რაში გვეხმარება პირადი ბიუჯეტის შედგენა? რა კავშირი აქვს მას ფინანსურ კეთილდღეობასთან? აუცილებელია თუ არა თანხის დაგროვება ,დაზოგვა, დაბანდება. რა ასაკიდან არის საჭირო მსგავს საკითხებზე ფიქრი?

კროსვორდი



1) დაგროვების, გაცვლის, გადახდის საშუალება.
2) შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალი დროის გარკვეული მონაკვეთისთვის.
3) ქაღალდის ფული
4) ფინანსების მართვისას მნიშვნელოვანია .
5) ფინანსური განათლების პორტალი.
6) განსაზღვრული ვადითა და პირობითგაცემული თანხა.
7) რისკის მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი.
8) ბანკში გარკვეული პირობითშეტანილი თანხა.
9) ლირის მეასედი ნაწილი.

აქტივობა 2.“ბარათებით მუშაობა“.(13წთ)

მასწავლებელმა წაიკითხა ფრაგმენტი დელია ოუენსის ნაწარმოებიდან „იქ სადაც კიბორჩხალები მღერიან და მოსწავლეებს სთხოვა ბარათების შევსება. თითოეულ მონაწილეს დაურიგა ცარიელი ბარათი, რომელზედაც მათ საკუთარი იდეა ჩამოაყალიბეს საკითხის/პრობლემის შესახებ.მოსწავლეებმა დაწერეს : რა გაიგეს მთავარი გმირის შესახებ, როგორ გარემოში ცხოვრობს, რა პრობლემის წინაშე დგას და მათი აზრით ,როგორ გადაჭრის ის ამ პრობლემას.
ამ დროს მონაწილეებმა სამი მნიშვნელოვანი პირობა უნდა გაითვალისწინონ: 1. ბარათებზე დიდი ასოებით დაწერონ იდეა, ისე, რომ თვალსაჩინო იყოს ყველასთვის; 2. თითო ბარათზე უნდა მოთავსდეს მაქსიმუმ სამი ხაზი; 3. შემდეგ უნდა მოხდეს ამ ბარათების კედელზე გაკვრა, თითოეული იდეის წაკითხვა, იდეების სელექცია და დაჯგუფება.

აქტივობა 3.ჯგუფური სამუშაო:პერსონაჟის რუკის შექმნა.(14წთ)
კლასი დაიყო ოთხ ჯგუფად,ჯგუფის წევრები ეცნობიან სხვა ეპიზოდს წიგნიდან,სადაც ჩანს,თუ როგორ

	გადაჭრის მთავარი გმირი ფინანსურ პრობლემას და ავსებენ პერსონაჟის რუკას. რუკის შევსების შემდეგ ხდება მათი გაკვრა დაფაზე და განხილვა.ერთად ქმნიან საბოლოო ვერსიას.		
	უნარი:ფინანსების შოვნის. **დასაბუთება ტექსტიდან:**მეორე დილას უჩვეულოდ ადრე გაიღვიძა,კომბინეზონი ჩაიცვა და ვარცლით,მორკალული დანითა და ორი ცარიელი ტომრით შეიარაღებულმა ნაპირს მიაშურა,მიქცევაში მიდიების შეგროვებას შეუდგა,როგორც დედამ ასწავლა.ოთხიოდე საათის ჩამუხლული მუშაობის შემდეგ ორივე ტომარა გაავსო. ნახატების გაგზავნის შემდეგ ფოსტით კონტრაქტი მიიღო.წიგნი რეკორდულად სწრაფად გამოიცემა .მისტერ ფორესტერმა გასამრჯელოს ნაწილი წინასწარ გადაუხადა- ხუთი ათასი დოლარი.		**უნარი**: პირადი ბიუჯეტის შედგენა. **დასაბუთება ტექსტიდან:** უკანასკნელი დოლარები რამოდენიმე კვირაზე გადაანაწილა.
		ქეთრინ (კაია) კლარკი,10 წლის	
	უნარი: თანხის დაბანდება ,საკუთრების დაცვა. **დასაბუთება ტექსტიდან:**კაია რომ სასამართლოდან გამოვიდა ,საკუთარ სახელზე გაფორმებული მიწის მფლობელობის საბუთი ჰქონდა. 800 დოლარად 125 ჰექტარი მიწა , მწვანე ლაგუნებით,		**უნარი:** პრიორიტეტების განსაზღვრა. საჭიროება და სურვილი. **დასაბუთება ტექსტიდან:** სინათლის გარეშე ვერ გაძლებდა, ნავთი უფასო არ იყო. მიდიების ფულით ასანთი, სანთელი და მარცვლეული შეიძინა. ცდუნებას ძლივს

	ბრწყინვალე მარშით, მუხის ტყეებითა და გრძელი კერძო სანაპიროთი.საავტორო უფლებების ჩეკები ყოველ ექვს თვეში მოუვიდოდა და,როგორც უთხრეს,ათასობით დოლარს შეადგენდა.		გაუძლო, რომ სანთლის მაგივრად „ტკბილი მამიკო“ არ ეყიდა.

აქტივობა 4.შეჯამება-დავალების მიცემა. (3წთ)
გაკვეთილი შეჯამდა აქტივობით -„დაასრულე 4 წინადადება“.
მოსწავლეებმა დაასრულეს შემდეგი წინადადებები: 1.მე ვიცი ,რომ....2. მე ვიცი ,რატომ.... 3.მე ვიცი ,როგორ..... 4.მე ვიცი ,....
საშინაო დავალება: მოიძიონ ლიტერატურული ნაწარმოებები, სადაც მოცემულია რაიმე პრობლემა ან დასკვნა კეთდება ფინანსური განათლების საკითხებთან დაკავშირებით.

მეორე გაკვეთილი

	აქტივობა 1. საშინაო დავალების განხილვა.(10 წთ) მოსწავლეებმა დაასახელეს ნაწარმოებები: ლუიზა მეი ოლკოტის „პატარა ქალები“, ანა გავალდას „35 კილო იმედი“, ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიმღერა“, ო ჰენრის „ბედის ირონია“ და „საშობაო საჩუქარი“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ნიკოლა სპარქსის „საოცნებო მხარე“, მაკ ზუზაკის „წიგნის ქურდი“, როალდ დალის „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“, თემურ ბაბლუანის „მზე ,მთვარე და პურის ყანა“ , წაიკითხეს პატარა ნაწყვეტი და ყველა მათგანს შეუსაბამეს ფინანსური საკითხები. **აქტივობა 2**.შემთხვევის განხილვა(13 წთ) მასწავლებელმა წაიკითხა ფრაგმენტი ლევ ტოლსტოის მოთხრობიდან „განა რამდენი მიწა უნდა ადამიანს?“. მოთხრობაში აღწერილია ამბავი,რომელიც ტრაგედიით სრულდება.პახომმა უნდა იყიდოს მიწის ნაკვეთი,რომლის საფასურია 1000 მანეთი დღის მანძილზე.ერთი დღის განმავლობაში რამდენი ფართობის შემოვლასაც მოახერხებს ფეხით- მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე- მისი იქნება. მთავარი პირობაა, მზის ჩასვლამდე იმავე ადგილზე მივიდეს, საიდანაც სიარულს დაიწყებს. თუ ვერ დაბრუნდება დროულად თანხასაც დაკარგავს და მიწასაც. პახომი ახერხებს საკმაოდ დიდი ნაკვეთის ფეხით შემორბენას, თუმცა ბევრ ძალას ხარჯავს, დაღლილობისაგან ძირს ეცემა და კვდება. შემთხვევის განხილვისას გამოიკვეთა ორი საკითხი: ა)დაზღვევის არსი და მნიშვნელობა. ბ)წინასწარ კარგად რომ დაეგეგმა,მოთხრობის გმირი შეძლებდა თუ არა იგივე ფართობის მიწის ნაკვეთის შეძენას ნაკლები ძალისხმევით. როგორ? მოსწავლეებმა იმსჯელეს დაზღვევის შესახებ,გადაწყდა,რომ დამოუკიდებლად მოიძიებენ ამ თემაზე უფრო მეტ ინფორმაციას და გაუზიარებენ ერთმანეთს. მოსწავლეებმა მოთხრობაში აღწერილი ამბავი აქციეს მათემატიკურ ამოცანად, დაადგინეს რომ მოთხრობის გმირმა მართკუთხა ტრაპეციის ფორმის მიწის ნაკვეთი შემოიარა,რომლის პერიმეტრი დაახლოებით 40 კმ,ფართობი კი 78 კვადრატული კილომეტრი, ანუ 7800 ჰექტარია და საკმაოდ კარგი ფულადი დაბანდება გამოვიდა. იმსჯელეს ,გაიხსენეს მათემატიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები,როგორიცაა ბრტყელი ფიგურების პერიმეტრი,ფართობი,კვადრატული ფუნქცია ,გამოთქვეს ვარაუდი,იაზროვნეს,გამოთვალეს და დაამტკიცეს,რომ თუ პახომს სურდა, რომ მის ნაკვეთს მართკუთხედის ფორმა ჰქონოდა,მას კვადრატზე უნდა გაეკეთებინა არჩევანი, რადგან ერთნაირი ფართობის მქონე მართკუთხედებიდან კვადრატს ყველაზე პატარა პერიმეტრი აქვს, ჩვენს გმირს დაახლოებით 5 კილომეტრით ნაკლების გავლა მოუწევდა. თუ წრეს შემოხაზავდა, 9 კილომეტრით ნაკლები ექნებოდა გასავლელი, რადგან წრის შემთხვევაში გარშემოწერილობა უმცირესია. ამ შემთხვევაში ის ცოცხალი დარჩებოდა და კარგადაც დააბანდებდა საკუთარ ფულს, შეიძენდა კერძო საკუთრებას.

	აქტივობა 4.შეჯამება. „სინქვეინის „შევსება.(2 წუთი) მოსწავლეებმა შეავსეს „სინქვეინი“ და დაწერეს მთავარი ფრაზა:“პირადი ბიუჯეტი-საკუთარ ფინანსებთან ურთიერთობის ხელოვნებაა.“ ასევე გავიხსენეთ ,რომ „მათემატიკა არის ანბანი, რომლითაც ღმერთმა აღწერა სამყარო“ (გალილეო გალილეი).
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	მოსწავლეებმა შეძლეს განხილულ საკითხთან დაკავშირებული მოვლენების, ფაქტების კრიტიკულად და შემოქმედებითად გააზრება,დასკვნების გაკეთება და ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.ლიტერატურულ ნაწარმოებებში ამოიცნეს და დაასახელეს სხვადასხვა ფინანსური პრობლემა,დასახეს მათი გადაჭრის გზები.გაიაზრეს პირადი ფინანსების მართვის აუცილებლობა. აქტივობისას -დაასრულე 4 წინადადება- ასეთი დასასრულები მივიღეთ: 1.მე ვიცი, რომ ფინანსური განათლება მნიშვნელოვანია. 2.მე ვიცი, როგორ შევადგინო პირადი ბიუჯეტი, გამოვყო პრიორიტეტები, დავსახო მიზანი და შევძლო თანხის როგორც დაზოგვა, ასევე შეგროვება. 3.მე ვიცი, რატომ არის აუცილებელი ფინანსური განათლება: ფინანსური გადაწყვეტილებები განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობას, განწყობასა და ცხოვრების ხარისხს. 4.მე ვიცი, ფინანსური წიგნიერება ქცევის,ცოდნის,დამოკიდებულებების,რისკების ანალიზის უნარების ერთობლიობაა. „სინქვეინი“ კი ასე გამოიყურებოდა: ფინანსები. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. გამოთვლა,მსჯელობა,გადაწყვეტილების მიღება. პირადი ბიუჯეტი-საკუთარ ფინანსებთან ურთიერთობის ხელოვნებაა.